

მართლა მოაღწია ჩვენამდის პეელი დილარიანის ნაწყვეტმა თუ არა?

(მცირე შენიშვნები ამირან-დარეჯანიანის ხელნაწერების შესახებ).

ყველას ეოეხსენება ლექსი რუსთველისა:

აშირან დარეჯანის ქე მოსკეს უქაა სოხელსა;
ახდულ მესია—შაკთელსა, ლექსი მას უქეს რამელსა;
დილარგეთ—სარგის თმოგველსა, მას ენა დაუშრომელსა;
და ტარიელ—მისსა რუსთველსა, მისთგის ცრემლ-შეუშრომელსა.ა

ჩვენამდის რომ „ვეფხისტყაოსანს“ არ მოეღწია და მარტო ზემო ნაჩვენები ლექსი გვქონებოდა ხელში, სხვა ვერაგვარ დასკვნას ვერ გამოვიყვანდით რუსთველის შესახებ, გარდა იმისა, რომ რუსთველს დაუწერია თხზულება, რომლის უმთავრესი გმირი ყოფილა ტარიელი. ჩვენ არც ის გვეცოდინებოდა, თუ რა სახელი ჰქვიადა რუსთველის შრომას. ასეთ მდგომარეობაში ვართ ეხლა ჩვენ „დილარიანის“ შესახებაც. ზემო მოყვანილის ლექსიდან მარტო ეს დასკვნა შეგვიძლიან გამოვიყვანოთ, რომ რუსთველის დროს უკვე ცნობილი ყოფილა თხზულება სარგის თმოგველისა, რომლის უმთავრეს გმირს ჰქმევია „დილარი“ ანუ, უკეთ ვსთქვათ, „დილარგეთი“, და იმის ანალოგიით, რომ მოსე ხონელის თხზულებას თავის გმირის ამირან-დარეჯანის ძის სახელის გამო ეწოდება „ამირან-დარეჯანიანი“, სარგის თმოგველის შრომასაც უნდა რქმევოდეს „დილარიანი“ ანუ, როგორც უფრო საგულისხმოა, „დილარ-

გეთიანი“. ჩვენ ვამბობთ, უნდა რქმევოდეს, რადგანაც ამგვარი ანალოგია უტყუარი არ არის. მაგალითად ვიცით, რომ რუსთველის თხზულების თავი გმირი ტარიელია, მაგრამ შრომას „ტარიელიანი“ კი არა ჰქვია, არამედ „ვეფხვის-ტყაოსანი“. თუ რა გვარი ან რა ხასიათისა იყო ეს შრომა, სრულებით არ ვიცით, როგორც არ გვეცოდინებოდა ხასიათი რუსთველის შრომისა, თუ ჩვენამდის არ მოედწია „ვეფხვის-ტყაოსანი“, გარდა ზემო მოყვანილის ლექსისა. ხოლო რუსთველის სიტყვები „მას ენა დაუშრომელსა“ გვაძლევს საბუთს ვიფიქროთ, რომ სარგის თმოგველის შრომა ენის მხრით შესანიშნავი და ხელოვნური ყოფილა. ვეფხვის-ტყაოსანის დამწერს თუ სხვა ვისიმე ენა მოეწონა, ალბათ მისი ენა მართლა მოსაწონარი ყოფილა. ცოტაოდნათ სარგის თმოგველის შრომის ხასიათს თითქო რუსთველის თანამედროვის ჩახრუხადის თხზულება გვიხატავს. ჩახრუხადე თავის თამარ-მეფის შესხმაში სხვათა შორის სწერს (ტაეზი მე-5):

«მოუხარისა, მის მდ უღარისა, დილარკეთისგან აღშოთებულად».

ეს გაკვრით მოხსენება გმირის დილარგეთისა გვიჩვენებს პირველად იმას, რომ „დილარგეთიანი“ ჩახრუხადის თხზულების უწინ ყოფილა დაწერილი და შემდეგ იმას, რომ შინაარსი თხზულებისა ისეთი ყოფილა და ისე ხელოვნურად დაწერილი, რომ მკითხველზე დიდ შთაბეჭდილებას ახდენდა. ეს არის და ეს ჩვენი უძველესი ცნობები „დილარიანის“ შესახებ. ჩვენამდის არა თუ თვით ამ თხზულებას არ მოუღწევია, არამედ ცნობებიც გარდა ზემოხსენებულისა არავითარი არ შენახულა. მართალია, ანტონ პირველი კათალიკოსი შემდეგი ლექსით მოიხსენიებს სარგის თმოგველს:

«სარგის ესეცა, შოთაებრი აწს კაცი,
სიბრძნის მოუჭარე, ფილარსოფოს, გამომთქმელ,
რიტორ უწესნიერ, პიიტოკოს საჭებელ,
თჯთ შოთა იტყუს დილარკეთ უქია მას,
საჭებ აწს ესე, თქმულთა მათთჯს მიზეზთა».

მაგრამ ანტონს ეს უთქვამს შოთას სიტყვების და ქართლის ცხოვრების მიხედვით და ეს კიდევ იმას არ ნიშნავს, რომ ანტონს სხვა ცნობები ჰქონოდა ხელში „დილარიანის“ და მისი ავტორის შესახებ, როგორც ფიქრობს ბ-ნი ზ. ჭიჭინაძე (იხილეთ მისი გამოცემა: ძველი ნიმუში დილარიანისა, გვ. 16). ყოველ შემთხვევაში საგულისხმოა, რომ ანტონის დროს ძველი დილარიანი აღარ არსებულა. ანტონის და ირაკლი მეორის დროს დაბადებულა აზრი დილარიანის აღდგენისა, ანუ ახლად დაწერისა. ამ აზრს ვტყობილობთ ჩვენ ახალი დილარიანისაგან.

მოგეხსენებათ, რომ ახალი „დილარიანის“ ავტორი არის პეტრე ლარაძე. მისი დილარიანი წარმოადგენს უშველებელ ტომს in folio (იხ. № 1193 წერა-კითხვის ბიბლიოთეკისა), რომელშიც ნნმ გვერდია. თხზულება გაყოფილია თორმეტ თავად. წიგნი ლექსით და პროზით არის დაწერილი ისე, როგორც ქილილა და დამანა. ლექსი შეიცავს შაირს, ყარიბულს (თვით ავტორის შემოღებულთა) და ალაგ-ალაგ ჩახრუხაულს. მთელი ექვსი გვერდი უჭირავს ლექსად დაწერილ შესავალს, რომელშიაც ავტორი მოგვითხრობს თავის ვინაობას და მისი დილარიანის დაწერის ამბავს. სრულებით არა სჩანს, რომ ლარაძეს შინაარსი სცოდნოდა ძველი დილარიანისა, ან რომელიმე მისი ნაწილი ენახოს, ვინაიდან ავტორი თვით ამბობს:

«აწ იყო ქართველთა შორის წიგნი ყუ დილარიანი,
 ამას იტყოდა ყოველი, მოხუცი, ბერი, ჭკვიანი;
 იყო, თამარის დროსა, კინ მეთუად ჭებდა სჯანი,
 და მუნ დღითგან აწდა გკასპია, ვართო მით ჭმუნჴაქიანი».

მეფე ერეკლეს გამოუცხადებია სურვილი, რომ დილარიანი დაწერილ იყო, მაგრამ მაშინ ლარაძეს მოცალეობა არა ჰქონია.

«მეთუეს ირაკლი გმირსა, მებრძოლთ-მამრწუნ-მატირსა, ჰსწადადა
 თვისსა დროებსა,

რათა ესეებრ ჭამბაგნი ექმნათ წიგნთ შენაწთაგნი მისგან დაზრ-
დილ მოყმებსა,
მასინ უცალოება, საქმის გარემოება, არ მამლეკდა უამებსა,
და აწ მასთანვე ზრდილმან, მწირობითა ჭმუნვილმან, კელ ვჰყავ მისს
ნახბრძანებსა».

ბოლო-სიტყვაობაში ავტორი მოგვითხრობს, რომ მან ერ-
თი დილარიანი დაწერა შავათ. ეს გაიგო მეფის ძემ იოანემ,
მივიდა სანახავათ, მოსტაცა ეგ თხზულება და თავის სახელი
დააწერა. მაგრამ მან ხელმეორედ და უკეთ დასწერა დილა-
რიანი.

«ესე სხვა ახლად შეკამკეკ, ვით მტელი ყვაილიანი,
იგი ამას არ ჭკავს, ვით ვარდსა გოგშო თავ სხჯლ ეკლიანი:
ესე არს დიდად ნაღვაწი ჩემგან ქმნილ დილარიანი
და კელმწიფებითა ძალადი, ლომგული მელავ მყარანი».

შემდეგ ავტორი დასძენს:

«ჩემგან ახლად შემზადებულსა წიგნსა დილარიანსა ზედა მრავა-
ლი ღვაწლი და შრომა მივიღე ჭამბოსა მოგონებსა და შეწუბასა
ზედა. მხილველნო, გთხროთ გურთსეკით მომიხსენებდეთ. პეტრე ყა-
რბი ლარაძე».

დილარიანი დაწერილია პეტერბურგში, მაგრამ არა სჩანს,
რომელ წელში გაათავა ავტორმა თავის შრომა. შეგვიძლიან
მხოლოდ ვთქვათ, რომ 1833 წ. დილარიანი დამთავრებული
იყო (პეტრე ლარაძე გარდაიცვალა 1837 წელს. იხ. „ივერია“
1299 წ. № 13). ეს სჩანს შემდეგი მინაწერიდან პირველ ფურ-
ცელზე:

«წიგნი ესე დილარიანი, გამოგზავნილი ჩემდა თბილისით თა-
ვადის გიორგი იგნატის ძისა თუშნოვისა მიერ, კელითა ძისა
თჯისა ალექსანდრესითა, მივიღე ჩულოგ-სა წელსა, სეკტემბრისა გ-სა
რიცხვსა შინა, მოსკოვს, და შეკამოსანე თთჯსა ამისკე ია-სა რი-
ცხვსა. გ. ავლოკმან».

ეს ჩვენი ხელნაწერი ავტოგრაფი უნდა იყოს ლარაძისა. ახალი დილარიალი მხოლოდ პეტრე ლარაძის შრომაა და ძველ დილარიალთან არაფერი საერთო არა აქვს გარდა სახელისა. შევნიშნავთ მხოლოდ, რომ ამ შრომაზე დიდი გავლენა ჰქონია კლასიკურ მითოლოგიას. კლასიკური მითოლოგიით ლარაძე ძლიერ თვალსაჩინოდ სარგებლობს.

ლარაძის უწინაც ყოფილან მსურველნი რაიმე ისეთი შეეთხზათ, რომ ძველ დილარიალთან თუ არა, ძველი დილარიალის გმირთან ცოტა ოდენი დამოკიდებულობა ჰქონებოდა. ეს სჩანს ზოგიერთი „ამირან-დარეჯანიანის ხელნაწერებიდან. 1896 წ. ზ. ჭიჭინაძემ გამოსცა „ამირან-დარეჯანიანი“ და ბოლოს დაურთო ის ორი თავი ვითომ „დილარიალისა“, რომელიც მან იცნა სარგის თმოგველის ნაშრომად. შემდეგ 1897 წ. ეს ორი თავი ზ. ჭიჭინაძემ ცალკე წიგნათ გამოსცა ვრცელის წინასიტყვაობით, რომელშიაც შეკრიბა ყველა ცნობები დილარიალის და მისი ავტორის შესახებ და აგრეთვე მოიყვანა ზოგიერთი ადგილები ლარაძის დილარიალის წინასიტყვაობიდან (იხ. ძველი ნიმუში „დილარიალისა“. დილარიალი ქმნილი XII საუკუნეში სარგის თმოგველის მიერ გამოცემა ზ. ჭიჭინაძისა ტფილისი 1897 წ.). 1897 წ. ბ-მა ა. ხახანაშვილმა განიხილა დილარიალი და ნაჩვენები ორი თავი შემდეგ შეთხზულათ და ამირან-დარეჯანიანში ჩამატებულათ იცნო. ა. ხახანაშვილს მოყვანილი აქვს შინაარსი ამ ორი თავისა (იხ. Очерки по истории грузинской словесности. вып. II, стр. 230—232).

ამ ბოლო დროს ზემოხსენებული ორი თავი „დილარიალად“ აღიარებული რუსულად გადასთარგმნა ბ-მა მ. ჯანაშვილმა (იხ. Сборникъ матеріаловъ для описанія мѣстностей и племень Кавказа, вып. XXVI, стр. 15—70) და აღიარა ხსენებული ორი თავი სარგის თმოგველის ნაშრომის „დილარიალის“ ნაწილად (Изъ другого же его сочиненія „Диларіани“, ამბობს ავტორი, дошла до насъ только часть, т. е. то, что нынѣ печатается въ переводѣ на русскій языкъ, იქვე გვ. 16, შენ.).

იმის გადასაწყვეტად ნამდვილი ძველი დილარიალის ნაწყვეტია ხსენებული ორი თავი, ამირან-დარეჯანიანის ნაწილია,

თუ სხვა რაიმე შრომაა, უნდა მიემართოთ თვით ამირან-დარეჯანის ხელნაწერებს და ესენი ერთმანეთს შეუდაროთ.

ამირან-დარეჯანიანი მოსე ხონელის დაწერილი მეთორმეტე საუკუნეში გალექსა მეჩვიდმეტე საუკუნეში სულხან ვინთანია-შვილმა. ამ გარემოებას ვტყობილობთ ჩვენ მეფის არჩილის თხზულებებისაგან, რომელსაც არჩილიანი ეწოდება. არჩილი ამბობს:

სულხან ვინთანიაშვილი მეც მახსოვს, იყო ჩემობას;
ცოდნა მას ჭკონდა ბეკრი რამ, მაგრამ ჭსწამობდნენ ჩემობას;
ამირან დარეჯანის ქეს უჭებდა გამომჩვენობას,

და თუცა კარგათ სთქუა, მაშინაც ნუ ჭკონებს რუსთავედის ოდნობას.

თუ თვით გალექსილი ამირან-დარეჯანიანის ხელნაწერს განვიხილავთ, დავრწმუნდებით, რომ მარტო სულხანს არ ეკუთვნის ამირან-დარეჯანიანის გალექსვა. ჩვენ გვაქვს ეხლა გალექსილი ამირან-დარეჯანიანი წერა-კითხვის საზოგადოებისა № 357 in folio ლამაზი რგვალი მხედრულის ხელით დაწერილი, ყდაში *). თუმცა ხელნაწერს თავი და ბოლო აკლია, მაგრამ

*) ჰირველი ოთხ ფურცელ ნახევარი ხელ-ნაწერისა შესავალს უჭერია. ამ შესავალში ავტორი, როგორც რუსთაველი, კრცლად მოგვითხრობს თავის აზრს მელექსეობაზე, მიჯნურობაზე, რომლის ქარი მასაც სცემია, და ამირან-დარეჯანიანის გალექსვის თაობაზე. გალექსილ წიგნს ის ადარებს ხელს და მკითხველს მებაღეს. როგორც მებაღე ხელს გააშენებს, ისე მოლოდ მარტო ბრძენი მკითხველი დააფასებს კარგად ლექსებს და, რასაკვირველია, ჩვენი ავტორის ლექსებსაც, რომელიც თავის ლექსებზე მაღალი აზრისაა. იმ აზრებს, რომელსაც ავტორიან უკრავს ლასკარი მიჯნურობისა და მოლექსეობისა, მაღალი ფრანგებით და თვალ-საჩინო ფეხადებით აგვიწერს:

გიშრის მშვილდსა ჩემთვის საკუდად გარდულებლად აებადა,
კერ წაუკაღ, სხივნი მისნი ჩემთვის ასრე აებადა,
მე კაქა და კერ შეუკაღ, ბრძენთა ენაც დაებადა
და არ დააკლდეს მის შორს მეოფსა თავსა ცემით ვაებადა.

შეუდარეს, — არა იყო მზე მასთანა მონაწონი,
კლავა ჭკრთოდა წამ უწყუეტლად, მისთა მჭურ რეტოა მონაწონი,
მის შორს მეოფსა არ დააკლდეს გუფსა დაღვით მონაწონი,
და კინ კლირსა თვალთ შეკურასა, არ თუ იყო მონაწონი.

გარემოება აშირან-დარეჯანიანის გალექსვისა მინც საკმაოდ არის შით გამოსატული. სულხანს გაულექსავს მარტო ცხრა კარი,

კვიცავ, რომე მისი მსგავსი არ ნახულა არათ არც, შექნი მისნი მიუდგომლად არ დააკდებს არა თაროს, იგი აძლევს მზესა შექთა, მაგრამ თავი არათ არც, და კერვინ აქებს კორციელი, თუ ვინ თავა არ ათაროს.

აქ მოვიყვანთ ზოგიერთ ტაქებს, რომელნიც რუსთველის შესახებ გამოთქმულ აზრს და ამ წიგნის გალექსვას ეხებიან:

რუსთველმან ამბო ლექსები გულისა მსგავსად მოსხმული, თქვა გაჭრა ტარიელისა, ჭეუ კეფისის ტყავთა მოსხმული, ცრემლი აჩქევა თვალთავან, მინდორთ საღებობლად მოსხმული, და მისამბით ვარდზედ ბუღბუღნი მოკლენ სატიარლად მოსხმული.

მისთვის ტირიან ბუღბუღნი გლახ ცრემლი მდულარება, გლახ უცხოს თემით გამოჭრით ვარდისთვის უღარება, ვერ დაიჭირავს, მიფრინავს, თუ ვის ჭყავს ნულარება, და ვინ მისცემს, მაგრამ თუ მისუდეს, არ იყოს მწუნარება.

მისთვის მომწონდა რუსთველი, ტარიელ შეჭქნა ბუღბუღლად, არ აზოვინა იგი მზე გაურჯულ და უხსუბულად, კიდრემდის არა აღინა თვალთავან ცრემლი გუბულად, და რა მიეწურა სიკუდილსა, მაშინ ქნა შენატუბულად.

ამბით შეემკოთ კელმწიფე, მამწადდა გასალექსავად, აწვა გალექსვა დაკიწე, სიტუვა ფრქვეული მთისავად, ლექსის უფრო უჭრისა უზერობენ, ამბის წიგნები ძეს ავად, და კიდრეკებ მოსე სოხელსა, შეიქმნა ჩემზედ მკურნისავად.

ამირან დარეჯანის ძე და სეფე დაკლხ მძობილნი, მზე-ჭახუკ მათი შემსწორე, ჭახუკად მათთან კმობილნი, მოსეს ეწერა ამბითა კლდია მცვირებრ დამადნობელნი და მკითხველნი, რათავ კკითხარით სიტყვანი შესანდობელნი...

პირველ ამბად დანაწერსა, აწ ლექსად ვიქ შეწეობაღისა, მკითხველთათვის საამოვნოს, მსმენელთათვის სიტყვა ტკბილსა, ფალავანთა რძის გარდაკვდევ, მტერთა მკლავის მოსალბილსა, და სამღკოთოსაცა არ დაკავლებ, ეშმას მით ვეფე განაწობილსა,

აწ ამბავსა ლექსად ვიწეებ, ავად ვთქვამ თუ ანუ კარგა, კარგი ვარც კარგისა იტყვის, ავამ ავი არ დაჭყარგა, ვინცა ისმენს მკრნიერნი, ხოტბის სიტყვაც მწვეე ვარგა, და ცოდნა დარჩეს ამ სოფელსა, თვარ რა წავუეფეს თანა ბარგა

დანარჩენის გალექსვა აღარ დასცადებია და მომკვლარა. შეიღ-
 გომად მისი სიკვდილისა მის ძმას ბეგთაბეგს გაუგძელებია სულ-
 ხანის შრომა და კრდევაც დაუმთავრებია. ყოველივე ეს ცხადათ
 სჩანს ბეგთაბეგის წინასიტყვაობიდან. ამას გარდა ბეგთაბეგი
 თითქმის ყველა მის გალექსილ კარების ბოლოში, ან თავში
 მოგვითხრობს რაიმეს თავის თავზე *). ჩვენი მიზნისათვის ეს
 გალექსილი ამირან-დარეჯანიანი საყურადღებოა მით, რომ მას-
 ში სრულებით არ მოიპოვება ის ორი თავი, რომელიც ვითომ

*) მოგვეყვას აქ ზოგიერთი საყურადღებო ადგილები ბეგთაბე-
 გის წინასიტყვაობიდან:

ბეგთაბეგ გკადრებ მკითხველსა, მელექსე-მოთარგმანესა,
 სიბრძნით უჭნეასაჲ დანახთ, არ დაიყოვნით ხანესა,
 გასაჭირს ამ წამს გააჩუქეთ, არ ბრძანებთ ის ანს, ან ესა,
 და მე ვლექსობ უწნობლობითა, რიდით გულა მაქმის მჭანესა.

ასისად მეთქვას ამის მეტად ლექსი წიგნსა ჩასაწერად,
 მოკინდომე გასარულება, მაგრან კერ ზოქვი ძმის თქმულ „ფერად,
 მართაღს გკადრებ, დღე ჭქნოდა, მას უნდოდა სსკამცა მწერად,
 და რაც დაეკლდა, მე ვათავებ, მთქმული კრივე კერვინ კერად.

რუსთველსა აქათ მელექსე ბეკრი ყოფილას მთქმელას,
 მას ასისად დარჩა სიტყუანი, მით წინ დამიხედას მელია,
 უსინჯეთ სიტგობა ქართულის, მაღალ მდაბალი ნელია,
 და მას ნურვინ ვბაძავთ მელექსე, თავებისა კიეგნეთ მტკეელას.

.

სულხანს ეთქვას, ჩემსა ძმასა, უკეთ თავს შესაკალები,
 ლექსი გარგვეკით მიკენვარე, სიტყუა-მასუხი მალევი,
 აყიუში გამოირჩევა ქანით მოსული ლალები,
 და ღმთის მადლსა ორთავ კვითხარით შენდობა შესაბრალევი.

მეთერთმეტე კარის დასასრულ (ფურც. 240) ბეგთაბეგი ამ-
 ბობს:

ეს ყველაი ასრე იყო, დაესრულას სისხლთა მებნა,
 გავისაჯუ ლექსის თქმითა, მაგრამ ცუდად არ დამებნა,
 ჩემის მეტის ამ ამბისა კერვინა ქნა ლექსად მებნა,
 და ღმერთმან მომცა გონებანი, მეცა მარტებს მისი ქება.

ავტორი დიდი აზრისაა თავის ლექსებზე, მეთერთმეტე კარის
 შესავალში (ფურც. 241) ის, სხვათა შორის ამბობს:

ამირან-დარეჯანიანს ეკუთვნის და ამ ბოლო დროს დილარიისის ნაწილად იქმნა აღიარებული. ცხადია, თუ მეჩვიდმეტე სა-

ამ წიგნის გასაღებსკად უსკად მიბოძა გონება *), თვარა და მე არ ძალ მედვა ეზომის გამოგონება: ეს არის ბადი ვარდისა, კრიფედ, დაუწყოთ კონება, და უბე აივსეთ, იუნოსეთ, კეროს დასკვნობს ქონება.

შესავლის შემდეგ მეთორმეტე კარი იწება ასე:

ისმინეთ მეყოთ მეყოთ, ცხოვნიდმცა უკუნისამდე, დოკლათი თქვენი უფალმან გამატოს დღითი დღისამდე, გიბდიდროს ღმერთმან მოყვარე ნათესავან ძმისამდე და არცხენოს შენსა ორგულსა შერცხენით შერცხენისამდე.

ხელთ-ნაწერის მერმენდელ მინაწერებიდან აშიებზე მოგვეყავს შემდეგნი: მე-42 ფურცლის მეორე გვერდის ქვემო აშიაზე:

«ქ. ბატონიშვილი ბეჟანის არის, ღმერთმან ასმაროს» (ამეკარი-კე წარწერა გამეორებულია მე-217 ფურცლის ქვემო აშიაზე). მე-172 ფურცლის ქვემო აშიაზე უშნო მხედრულის ხელით სწერია:

«ამის დამწერი, რათა სწორი კელმწიფის ასული (ღი?) თამარ, ფილოსოფოსად გაზრდილი, დიდი მცოდნე ქალი».

მე-237 ფურცლის ზემო აშიაზე გაკრული ნუსხა მხედრული ხელით:

«სახიერო სამებაო, მრჩობლადვე შეიწყადე ნიკოლაი დადიანი 1810, დეკემბრის 25. (ეს ის ნიკო დადიანია, რომელმაც მოკლე ქართლის ცხოვრება დასწერა).

მე-251 ფურცლის მეორე გვერდის ზემო აშიაზე მოსსო ნუსხა მხედრულის ხელით:

«ეს დარეჯანიანი ელენეს ბატონიშვილის არის, ელენე».

იმაკე გვერდის განის აშიაზე მრგვალი მხედრულის ხელით სწერია:

ქ. ესე დარეჯანიანი დედოფლის თამარისა არის, ღმერთმან ასმაროს, ამინ.

უკანასკნელი მინაწერი ეკელაზე უფრო ძველია; არა სჩანს, თუ კისგან და როდის არის გადაწერილი ხელთ-ნაწერი, მაგრამ, ჩვენის აზრით, ის უნდა ეკუთვნოდეს მე XVIII ნაუკუნეს.

*) წინა ტაეებში ღმერთზეა ლაპარაკი.

უკუნის ხელნაწერებში ეს ორი თავი ყოფილიყო, ბევრთაგანი მას გაუღექსავს არ დასტოვებდა. ეს მით უფრო საყურადღებოა, რომ დილარიანათ ცნობილი მეთერთმეტე და მეცამეტე თავები ბოლოში კი არ არის დართული სხვა ხელნაწერებში, არამედ ჩაკერებულია მეათე თავის შემდეგ და მათ ბოლოს დართული აქვს ამირან-დარეჯანიანის გაგრძელება, ანუ უკანასკნელი თავი. დილარიანათ ცნობილი თავები არა თუ გაღექსილ ამირან-დარეჯანიანში არ მოიპოვება, არამედ არ არიან ივინი პროზით ნაწერ უძველეს ამირან-დარეჯანიანის ხელნაწერებშიაც. უძველესათ უნდა ჩაითვალოს ხელნაწერი წერა-კითხვის საზოგადოებისა № 393 ლამაზი რვეალი მხედრული ხელით ნაწერი. ხელნაწერს თავი და ბოლო აკლია, მაგრამ ხელის და მასალის მიხედვით სჩანს, რომ შეჩვიდმეტე საუკუნეს უნდა ეკუთვნოდეს. ამ ხელნაწერში მოქცეული მეთერთმეტე და მეთორმეტე კარები არც დილარიანის ამბავს შეიცავენ და არც დილარისშვილის ჯიმშერის ამბავს, არამედ ამირან-დარეჯანიანის ამბავს. ასე რომ ხსენებულს უძველეს და საუკეთესო ხელნაწერში დილარიანათ ცნობილი თავები არ მოიპოვებიან *). მესამე ხელნაწერი № 1359, აგრეთვე მხედრულის ხელით ნაწერი უნდა ეკუთვნოდეს მეთორმეტე საუკუნის პირველ მეოთხედს და გადაწერილია ასტრახანში. ამასაც თავი აკლია. დილარიანათ ცნობილი ორი კარი არც ამ

*) მერმენდელ ხელით მინაწერთა შორის ხსენებული ხელთნაწერისა საყურადღებოა შემდეგი: მე **მზ** ფურცელზე: „ქ. ორბელიანის **ზადის** ასულის გურის დედოფლის მარამის მზკითვისა არის. კინცა მოიპაროს, რასიკედეს სამება და ყოკნი მისი წმინდანი, ამინ. ხემს მშობელთ მოკმარდი წელსა იანვარს, ქორონიკონს **ჩლუც** (1798), მ; გურას მოკელ **იზ**. ღვთისმშობელმა დასწეკელას მომზარაჲ ამისი“.

ეს წერილი, როგორც კტუობა, თავით მარამის ხელით არის დაწერილი. მარამი, ორბელიანის ასული, იყო კასტანგ გურიელის ცოლი, ხოლო კასტანგი იყო გურიელი გიორგის ძეი. გურიელი კასტანგი მოხსენებულია გუჯრებში 1788, 1796, 1798, 1806

ხელნაწერში მოიპოვება *). მესამე ხელნაწერი № 1119 გადაწერილია ლურჯ ქალღმრთელზე ნუსხა მხედრულის ხელით 1825 წელს. ეს ხელნაწერი სრულია. ამ ხელნაწერზე არის დამყარებული ზ. ჭიჭინაძის გამოცემა, მაგრამ არც ამ წიგნში მოიპოვება დილარბანთ აღიარებული თავები. ეტყობა წიგნი ძველი ხელნაწერიდან არის გადმოწერილი, რომელშიაც რასაკვირველია შემდეგ მომატებული თავები ერთომ და დილარბანისა არ უნდა ყოფილიყო. წერა-კითხვის საზოგადოებაში ინახება აგრეთვე პეტერბურგის ხელნაწერებიდან გადმოღებული ასლი ამირან დარეჯანიანისა № 435. ვგონებ ეს გადმოწერილია ი. ლ.

და 1812 წლებში; 1812 წელს კასტანცი ცოცხალი იყო და მისი ცოლი მარიაში; როდის მიიწვალა ან ერთი, ან მეორე, არ ვიცი, მხოლოდ ორივენი დასაფლავებულია ჟუმათის ეკლესიაში. მათი შვილები იუვენ დათა (+1856) და კონსტანტინე (ეს უკანასკნელი მცირე-წლოვანი გარდაიცვალა (Бакрадзе. Археологическое путешествие по Гуріи и Адчарѣ, стр. 260, 315, 320 и 337).

მე-33 ფურცელზე, მერმენდელ მიმტებულზე სწერია: «ქ. სოლომონ ერისთვის ქე», მერმე ხელწირთულად სწერია: «სოლომონ».

მე-რმ კვერდას ზემო აშიაზე მერმენდელი სელით სწერია: «ქალსა ლამაზსა, თამარსა, თვადები გიგავს მუყალსა, უნდა წიგნი მომწერა, წკერი წამატედა კალამსა».

*) ხელთ-ნაწერი შეიცავს სულ 128 კაბადონის და ნაწერის ორი სხვა-და-სხვა ხელით. ერთ ადგილას დარღულია შემდეგი ლექსი:

ბეკრია მეფეთ აშიაკი, არ გათავდების მობიდა,
ანუშირვანის აშიაკი მამსმია არაკობითა.

ზოგნი იბრძვიან, არიან ნიხდაგ რაზმთა წყობითა
და ზოგნი გლახათა მისცემენ, სხედან ღვთის ძოშიშეებითა».

უკანასკნელ ფურცლის ბოლოში წითელის მელნით სწერია:

«გასრულდა დარეჯანიანი. ავით წერისათვის ნურავინ გეწეგს.
ეს დარეჯანიანი დიდის კელმწიფის რუსეთის ქალაქს ასტრახანს დაწერა. გიორგობისთვის ზ მიუეკით წერას, ძმ გავათაკეთა».

ოქრომჭედლიშვილის თაოსნობით. ხელნაწერი შედარებულია სამეცნიერო აკადემიის ვარიანტთან. ხშირად არის მოხსენებულნი აშიებზე, შედარებულია აკადემიის ხელნაწერთანაო. ეგ შედარება კი სჩანს, მაგრამ თვით ტექსტი რომელ ხელნაწერიდან არის გადმოწერილი არა სჩანს. ხოლო შესაძლებელია, ეს იმ ხელნაწერიდან იყოს გადმოწერილი, რომელიც ბატონიშვილს ბაგრატს ეკუთვნოდა ერთხელ. ყოველ შემთხვევაში უნდა შევნიშნოთ, რომ როგორი ხელ-ნაწერებია პეტერბურგში, ან რომელ დროს ეკუთვნის, ეს ჩვენი ასლიდან არა სჩანს. ეს კი ცხადია, რომ იმ დედანში, საიდანაც გადმოუღიათ ჩვენი ასლი, ეგრეთ წოდებულის დილარიანის ორი ჩამატებული კარი მე-12 და მე-13 ყოფილა. ხოლო აკადემიის ვარიანტში ეს თავები არ უნდა ყოფილიყოს, ვინაიდან ამ თავებს აკადემიის ვარიანტთან შესწორება არ ეტყობა. და მეცამეტე კარის ბოლოს გვერდზე უწერია, გამოშვებულია აკადემიის ეგზემპლიარშიო, მაგრამ ეს კი არ ვიცით, ეს შენიშვნა მარტო ბოლოს ეხება თუ მთელ ორ თავს დილარიანად ცნობილს. არ ვიცით აგრეთვე, აქვს ამ ორ თავს დედანში რაიმე შენიშვნა ისეთი, რომელიც უჩვენებდეს სიყალბეს დილარიანის თავებისა თუ არა. მაგრამ რაკი ამ გვარ შენიშვნას ჩვენ ვპოულობთ სხვა ხელ ნაწერში, როგორც ქვემოთ დავინახავთ, ჩვენ გვგონია, ამ გვარივე შენიშვნა იქაც უნდა ყოფილიყო. დაგვრჩა კიდევ ერთად-ერთი ხელ-ნაწერი ამირან-დარეჯანიანისა № 1623 წერა-კითხვის საზოგადოებისა, ნუსხა მხედრულის ხელით ნაწერი და სრული. ხელ-ნაწერი გადაწერილია 1776 წელს, აპრილის 27, ვინმე გიორგის მიერ.)*

*) ბოლო სიტყვაობა ხელ-ნაწერისა ასეთია:

ადმწეი ამა წიგნისა, უნდოა ვინმე მონაი,
კითხვკ (თომილთა შენდობას, ვინცა შეატყუათ ქონაი,
ჭკობბენ მწეაღნი, არ თქმულ არს ცისა დრუბლის არ ქონაი,
და კგრეოვე—წიგნსა არ აქნდეს ტუეილისა რა წონაი.

აპრილის კზ. ქკს უმდ.

გიორგი (ხართულად).

ხსენებულს ხელ-ნაწერში მოიპოვება ორი თავი დილარიანათ აღიარებულის მოთხრობისა, მეთორმეტე და მეცამეტე. ამ ხელ-ნაწერიდან არის დაბეჭდილი ის ორი თავი ვითომ-და ძველი დილარიანისა, რომელიც ზ. ჭიჭინაძემ გამოსცა. ამაზევეა დამყარებული ბ-ნი ჯანაშვილის თარგმანიც.

თუ ამ ორ თავს შევუდარებთ ჩვენ ლარაძის დილარიანს, დავრწმუნდებით, რომ მათში არავითარი მსგავსება არ არის. ეს ასეც უნდა იყოს, რაკი ლარაძის დილარიანს არავითარი კავშირი არა აქვს სარგის თმოგველის შრომასთან გარდა სახელისა. მაგრამ ეს კი საფიქრებელია, რომ თუ ლარაძე დარწმუნებული ყოფილიყო, რომ ერთი ორი თავი დაცულია ამირან-დარეჯანიანში ძველი დილარიანისა, თავის თხზულებას ცოტა არ იყოს დაამსგავსებდა ამ შრომას და შეიძლება სულ შეეტანა ეს ნაწევრები თავის შრომაში. უნდა ვიფიქროთ, ლარაძე ამ ნაშთის მიხედვით და მისი დედა აზრის მსგავსად შეთხზვიდა თავის დილარიანს. ეს მით უფრო საგულისხმოა, რომ ლარაძე, როგორც ვნახეთ, აღდგენას ჩემობს ძველი დილარიანისა. არა ვგონებ, ისეთ მწიგნობარ კაცს, როგორც იყო ლარაძე, წაკითხული არ ჰქონებოდეს ამირან დარეჯანიანის ხელ-ნაწერები. ამირან-დარეჯანიანის ცნობილი ხელ-ნაწერები ბატონიშვილების ნაქონია უმეტესი ნაწილი და ბატონიშვილებთან ლარაძე საქართველოშიაც და პეტერბურგშიაც შესული კაცი იყო.

ეხლა ვნახოთ, როგორ იწყება ეს ორი თავი ამირან-დარეჯანიანის ხელ-ნაწერებში. სათაურათ აქ სწერია: „კარი მეთერთმეტე. ჯამშერ ხაზართა მეფისა დილარის შვილის ამბავი“. შემდეგ მოყვანილია ასეთი შესავალი: „ოდესმე მეფეს ხაზართასა დაეპყრეს ყოველნი ქვეყანა სიმკნითა და სიქველთა, ყოველნი მონებდენ, უძრწოდეს ყოველნივე გარემონი მეფენი, რომელნიცა თვითოეულად აღწერილი არს სერგის თმოგველისაგან სიმხენი და გოლიათობანი სიჭაბუკისა მისისანი. ამა უსწოროსა და სახელოვანსა კელმწიფესა ეწივა სნეულება დიდი და გარდაიცვალა ამიერ სოფლით“. შემდეგ მოთხრობილია, რომ ამ ხაზართა მეფემ (უნდა ვიგულისხ-

მოთ დილარმა) მოიწვია სიკვდილის დროს თავის ძმისწული ხოსრო და მას ჩააბარა თავის შვილი ჯიმშერი და ანდერძად დაუგდო, ათ წლამდის ესწავლებინა ყოველნი ზნენი სამამაცონი და შემდეგ დაემტკიცა მისთვის მეფობა ხაზარეთისა. აქედან იწყება ამბავი ჯიმშერისა და მისი თავგადასავალი. მეთორმეტე თავში მოთხრობილია ამბავი ჯიმშერის შვილისა, რომელსაც ჯიმშერივე ჰქვიადა და შემდეგ მეტ სახელად დაერქვა არმოკლა მზე-ჭაბუკი. ჩვენის აზრით, მარტო ეს სათაური ამტკიცებს, რომ ხსენებულ ორ თავს არავითარი კავშირი არა აქვს სარგის თმოგველის დილარიანთან. როგორც დავინახეთ რუსთველის სიტყვებიდან, „დილარიანის“ ანუ „დილარგეთიანის“ თავი გმირი დილარგეთია, და „დილარიანში“ მოთხრობილი უნდა იყოს მისი გმირობანი და თავგადასავალი, ვინაიდან სარგის თმოგველს დილარგეთი უქია და არა მისი შვილი ჯიმშერი. თუ სარგის თმოგველს ჯიმშერი ექო, მაშინ მისი თხზულება „ჯიმშერიანი“ იქნებოდა და არა დილარიანი ანუ დილარგეთიანი. თუ ზემო მოხსენებული თავგებების სახელები გვინდა, ერთს „ჯიმშერიანი“ უნდა დავარქვათ და მეორეს „არ-მოკლა მზე-ჭაბუკიანი“ და ყოველ შემთხვევაში—არა „დილარიანი“.

გარდა ამისა მოთხრობის შესავალი თვით გვეუბნება, რომ სიმხენი და სიქველენი ხაზართა მეფისა დილარისა თვითეულად მოთხრობილია სარგის თმოგველისაგანაო. ცხადია, ამას ამბობს სხვა ავტორი სარგის თმოგველზე და არა თვით სარგის თმოგველი თავის თავზე, მაშასადამე თხზულება არ ეკუთვნის სარგის თმოგველის შრომას. ამ შენიშვნით ავტორს ამ ორი თავისა ეს უნდოდა ეთქვა მკითხველისთვის, რომ დილარის ამბავი, სიმხენე და სიქველენე თვითეულად აღგვიწერა სარგის თმოგველმაო და ეხლა მე მისი შვილის ჯიმშერის ამბავი შევთხზეო. აქ ჩვენ, თუ გნებავთ, გაგრძელება გვაქვს დილარიანისა და არა თვით დილარიანი. როგორც ნანუჩა ციციშვილმა დასწერა გაგრძელება ვეფხვისტყაოსნისა და მოგვითხრა ტარიელის შვილის და სხვების ამბავი, ისე უცნობ

ავტორს განუზრახავს გაეგრძელებია დილარიანის ამბავი. აქ მხოლოდ ის თვალსაჩინო განსხვავება არის, რომ ნანუხა ციციშვილს ხელში ჰქონდა „ვეფხვის-ტყაოსანი“ და მას მიბაძა გაგრძელების შეთხზვაში, ჩვენი „ჯიმშერიანის“ ავტორს კი სრულებით ნახული არა ჰქონია ძველი „დილარიანი“ და მისი გაგრძელება დასწერა ამირან დარეჯანიანის მიხედვით და მასში ჩააკერა თავის თხზული გაგრძელება დილარიანისა, რომელსაც, როგორც მოვიხსენეთ, ჯიმშერიანი უნდა დაერქვას და არა დილარიანი. ჩვენ ტყუილად არ ვამბობთ ავტორმა ამირან-დარეჯანიანის მიხედვით დასწერაო. ვინც კარგათ დაუკვირდება და ყურადღებით გადიკითხავს ამ ორ თავს, დარწმუნდება, რომ აქ ყოველგან და ყველაფერში მონური მიბაძვაა ამირან-დარეჯანიანის მოთხრობისა, იგივე ენა, იგივე შედარებანი, იმავე მღევებთან და მხეცებთან ბრძოლა და გამარჯვება და სხვა *). ყველაფერი ეს გასაგებია მიმბაძველი მერმენდელი ავტორის მხრით, მაგრამ შეუძლებელია, თუ ამ თხზულებაში ვიცნობთ ჩვენს სარგის თმოგველის შრომას. უკანასკნელ შემთხვევაში გამოვა, რომ სარგის თმოგველი ჩათლახო ავტორი ყოფილა, სუსტი მიმბაძველი მოსე ხონელისა და არა ის „ენა დაუშრომელი“ ავტორი „დილარგეთიანისა“, რომელსაც ასე მოწიწებით იხსენიებს რუსთველი. ყველა ორიგინალურ თხზულებას თავის ელფერი აქვს და, ვგონებ, სარგის თმოგველის შრომასაც თავისი ელფერი ექნებოდა. ყოველ შემთხვევაში ეს შრომა არ უნდა ყოფილიყო სუსტი მიბაძვა ამირან-დარეჯანიანისა. მოხსენებული გარემოების მიხედვით საკმაოდ სჩანს, რომ ეს ორი თავი ამირან-დარეჯანიანისა უნდა იყოს შეთხზული უცნობი პირისაგან არა უადროვეს მეჩვიდმეტე საუკუნისა. შემთხვევლს მიუბაძავს ამირან-დარეჯანიანის თავებისათვის და მის მოთხრობის გმირათ გაუხდია დილარის შვილის ჯიმშერის ამბავი, ხოლო ეს „დილარიანი“ მას სცოდნია იმ-

*) ენის მხრით თუმცა ავტორი ჭბამკეს ამირან-დარეჯანიის ავტორს, მაგრამ მაინც შეგვსდებათ ისეთი სიტყუება, რომელიც მეთორმეტე საუკუნეში არ იხმარებოდენ. მაგალითად დუჭბანდი და სხვა.

დენად, რამდენათაც ჩვენ ვიცით, ესე იგი რუსთველის და სხვების ცნობებიდან. რომ ეს თავები არც ძველ ამირან დარეჯანიანს ეკუთვნიან და არც სარგის თმოგველს, ამის დასამტკიცებელი საკმაო საბუთი თვით იმ ხელნაწერშია, საიდანაც დაბეჭდილია ეს თავები. მეთერთმეტე თავს აქ გვერდზე ტექსტისავე ხელით უწერია:

„ქ. ვინცა სწკდეთ, ამ ამბავს ნუ დასწკათ. ეს ამ წიგნის მთქმელისა არ არის. ვადასაც ცრუს ქრცხინგაღ“.... (გაგრველება აშიაზე წაჭრილია).

რაც აქ აკლია ამ პირველ შენიშვნას, ის დამთავრებულია მეთორმეტე თავის შენიშვნაში. ამ მეთორმეტე თავსაც გვერდზე უწერია ასეთი შენიშვნა:

„ქ. ნუცა ამას დასწკათ: ესეც ამ ცრუს ქრცხინგაღელის კაცისაგან არის ნაღაყები და მაგონილი.“

ეს მინაწერები ცხადათ ამტკიცებენ, რომ დილარიანათ აღიარებული თავები მერმეა შეტანილი ამირან-დარეჯანიანის ხელნაწერებში და ისინი არ ეკუთვნიან არც მოსე ხონელს, ამირან-დარეჯანიანის ავტორს, და არც სარგის თმოგველს, ჩვენამდის მოუღწეველის დილარიანის ანუ დილარგეთიანის ავტორს, არამედ ვილაც ქრცხინგაღელ კაცს არა უადროვეს მეჩვიდმეტე საუკუნისა. უფრო საგულისხმოა, რომ ავტორი მეთვრამეტე საუკუნეს ეკუთვნის. სხვებ ხელნაწერებში შეიძლება იყოს დაცული სახელი იმ ქრცხინგაღელი კაცისა, რომელსაც შეუთხზავს „ჯიმ-შერიანი“ და ჩაუკერებია ამირან-დარეჯანიანის ხელნაწერში. ყველა შემო თქმულის შემდეგ ჩვენ ვგონებთ, ნება გვაქვს ასეთი დასკვნა გამოვიყუანოთ: შემო აღნიშნული ორი თავი ზოგიერთ ამირან-დარეჯანიანის ხელნაწერებისა არც ამირან-დარეჯანიანის ავტორს ეკუთვნის და არც ძველი დილარიანის ნაწყვეტს წარმოგვიდგენს, არამედ შეადგენს განცელკევებულს შრომას „ჯიმ-შერიანს“, შეთხზულს არა უადროვეს მეჩვიდმეტე საუკუნისა ერთი ვინმე ქრცხინგაღელის ავტორის მიერ.